სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის
2025 წლის 3 თვის ანგარიში
მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა - (30 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4 800.0	5 451.0	1 979.3	36.3%	284.7

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით, განხორციელდა ბენეფიციართა (სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, მედიკამენტებით და სამედიცინო სახარჯი მასალით უზრუნველყოფა, სტაციონარული მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო შემოწმება, კერძოდ:

ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა 13 497 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია - 1 476 პაციენტს; ჩატარდა 766 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 1 012 პროცედურა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 7 960 პროცედურა; რენტგენოლოგიის კაბინეტში - 3 055 პროცედურა; ჩატარდა 21 865 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 223 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარდა 1 814 სამკურნალო პროცედურა; ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა 1 366 პირმა და 35 სამოქალაქო პირმა.